## საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

## ბრძანება № 236

თბილისი „21“ 02 2020 წ.

**2020-2021 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის ვადებისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 12 თებერვლის N173395 მოხსენებითი ბარათისა და სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 18 თებერვლის N209969 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და დოკუმენტაციის წარდგენის ვადები (I ეტაპი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) ელექტრონული რეგისტრაციისათვის - 2020 წლის 2 მარტიდან 2020 წლის 16 მარტის ჩათვლით პერიოდი;

ბ) დოკუმენტაციის წარდგენისათვის - 2020 წლის 17 მარტიდან 2020 წლის 24 აპრილის ჩათვლით პერიოდი.

2. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და დოკუმენტაციის წარდგენის ვადად (II ეტაპი) განისაზღვროს 2020 წლის 27 აპრილიდან 2020 წლის 8 მაისის ჩათვლით პერიოდი იმ კატეგორიის მოსწავლეებისთვის, რომელთა:

ა) და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;

ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია;

გ) ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

3. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საყოველთაო რეგისტრაციის (III ეტაპი) ვადად იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა წრეს, განისაზღვროს 2020 წლის 13 მაისიდან 2020 წლის 5 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

4. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოსწავლეებისათვის განისაზღვროს 2020 წლის 8 ივნისიდან 2020 წლის 22 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

5. ამ ბრძანების პირველი - მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ/თავისუფალ ადგილებზე (IV ეტაპი) მოსწავლის რეგისტრაციისა და საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივნისიდან 2020 წლის 10 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

6. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა საჯარო სკოლებისათვის.

7. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

მიხეილ ჩხენკელი